



2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

31 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 7 გამოცემას: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „გურია news“, „ქრონიკა +“, „კვირის პალიტრა“.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 31 აგვისტოდან 25 სექტემბერის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი გაშუქება კვლავ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო;
- საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა;
- მონიტორინგისთვის შერჩეული 7 გამოცემიდან 6-ში მეტ-ნაკლებად ჭარბობს უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას;
- მონიტორინგის პირველი პერიოდისგან განსხვავებით „ქრონიკა +“-ში აღარ შეიმჩნევა დადებითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ;

თუმცა ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

- ორ გამოცემაში („ალია“ და „ასავალ-დასავალი“) გამოვლინდა უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები როგორც მმართველი გუნდის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის გაშუქებისას;
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები გვხვდებოდა გამოცემებში „ალია“, „ქრონიკა +“ და „ასავალ-დასავალი“;
- ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევები სისტემატურად გვხვდება გამოცემებში „ალია“ და „ასავალ-დასავალი“;
- დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები გვხვდებოდა გაზეთებში „ქრონიკა +“, „ალია“ და „ასავალ-დასავალი“.

(შენიშვნა: მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები ეყრდნობა მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტა გაშუქების ანალიზს)

„რეზონანსი“


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, გამოცემაში „რეზონანსი“ იმატა დადებითი ტონის მაჩვენებლებმა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, გაშუქებისას. გამოცემაში შემკვეთის მიერ დაფინანსებული სტატიები სათანადოდ არ იყო გამიჯნული რედაქციის მიერ მომზადებული მასალებისგან. ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

მონიტორინგის მესამე პერიოდში, გაზეთში „რეზონანსი“, ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (20%), მთავრობა (12%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (10%), ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი (10%), „რესპუბლიკური პარტია“ (10%) და მათი საქმიანობები გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (66%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (47%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (31%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (24%) გაშუქებისას.

დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კი პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“ (21%), ერგო.

აღსანიშნავია, რომ გაზეთში „რეზონანსი“ გვხვდება კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული მასალები, რომლებიც მკაფიოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო სტატიებისგან. ასეთი ტიპის მასალები ძირითადად ჩასმულია ჩარჩოში, ხოლო გაზეთის ბოლო გვერდზე საკმაოდ წვრილი შიფტით არის წარმოდგენილი განმარტება, რომ ჩარჩოში ჩასმული სტატიები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და გაზეთის რედაქცია პასუხს არ აგებს სარეკლამო სტატიებში მოყვანილ ფაქტებზე. უმჯობესია რომ, გაზეთმა მკაფიოდ, მკითხველისთვის გასაგებად გამოეყოს ყველა სტატია, რომელიც მომზადებულია კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პერიოდში „რეზონანსში“ იმატა დადებითი ტონის მაჩვენებლებმა მმართველი პარტიის, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა საპარლამენტო ოპოზიციის გაშუქებისას. გამოცემაში შეკვეთილი სტატიები სათანადოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.



„ალია“

მონიტორინგის მესამე პერიოდში, გამოცემაში „ალია“, კვლავ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური სუბიექტის გაშუქებისას. სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.


გაზეთში „ალია“, ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (21%), ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი (16%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (13%) და მათი საქმიანობები გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (77%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (77%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (61%) გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, „ალიაში“ ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. აღნიშნული ტერმინოლოგია გვხვდებოდა როგორც ჟურნალისტთა ტექსტებში, ასევე სტატიების სათაურებში; მაგალითად, „ამ ხალხს სულ არ აინტერესებს, მსოფლიო ბანი ხარ, „განი“ ხარ თუ „დონი“ ხარ!“ (5-11 სექტემბერი, გვ. 20).

ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი, სათანადო არგუმენტებით გაუმყარებელი, საექვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები; მაგალითად: „...გავრცელდა ხმები, რომ ბიძინა ივანიშვილი ფარულად გაურიგდა მიხეილ სააკაშვილს, მათ შორის შუამავალი იყო ამერიკის ელჩი და ხმების დაახლოებით 20% ივანიშვილმა „ნაცმოძრაობას“ გადაულოცა“. ასევე, „...ვცრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ივანიშვილს ემუქრებოდა...“ („ამ ვერსიას ისევ და ისევ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ავრცელებდნენ და ძალიან უხაროდათ, რომ ივანიშვილი ასე მოიქცა“, 5-11 სექტემბერი, გვ. 23).

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ალიაში“ გამოქვეყნდა ორი სტატია მაჟორიტარ კანდიდატთა შესახებ, სადაც ჟურნალისტი უჩვეულოდ დადებითად ახასიათებდა აღნიშნულ კანდიდატებს; მაგალითად: „ცეზარ ჩოჩელის გაცნობისთანავე ტურბულენტურ ზონაში ხვდები, ის არის არაორდინალური პიროვნება, დიდი ენერჯის მატარებელი. კაცი, რომელიც თავისი ცხოვრებით ჰგავს მითოლოგიურ ცეცხლოვან ფრინველს - ფენიქსს, რომელსაც აქვს თვითწვის უნარი. რამდენჯერაც დაიფერფლა, იმდენჯერ ფერფლისგან აღსდგა.“ („იშრომა, იბრძოლა, გასამართლდა, გამართლდა და გაიმარჯვა!“, 12-18 სექტემბერი, გვ. 8); „მიზანდასახული, რისკიანი, დინამიკური, გაბედული, ოპტიმისტი, რომელიც ყველა სიძნელეში განვითარებისა და წინსვლის ახალ შესაძლებლობას ხედავს, არის მაქსიმალისტი, საქმეში ბოლომდე იხარჯება და მუდმივად კარს უღებს ცვლილებებს.“ („გოჩა ენუქიძე: „ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და მთას დავუბრუნებთ სიცოცხლეს!“, 19-25 სექტემბერი, გვ. 6).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ალიაში“ სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.




„კვირის პალიტრა“

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, გამოცემაში „კვირის პალიტრა“, კვლავ ჭარბობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

გაზეთში „კვირის პალიტრა“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (22%), ბლოკი „სახელმწიფო ხალხისთვის“ (13%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%), მთავრობა (11%) და მათი საქმიანობები გაშუქდა. უარყოფი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები გამოვლინა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (52%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (49%), ადგილობრივი თვითმმართველობებისა (27%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (26%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი არცერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრაში“ დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ისევე, როგორც მონიტორინგის

პირველ პერიოდში, გამოცემაში ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.




„ასავალ-დასავალი“

მონიტორინგის მესამე პერიოდში, გამოცემა „ასავალ-დასავალი“ კვლავ გამოირჩეოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევებით. გამოცემის ჟურნალისტები სისტემატურად იყენებენ უკიდურესად შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას ამა თუ იმ პოლიტიკოსის გაშუქებისას. „ასავალ-დასავალში“ კვლავ შეინიშნება უკიდურესად უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, „რესპუბლიკური პარტიის“ და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

გამოცემაში „ასავალ-დასავალი“, ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (24%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (15%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (13%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (11%) საქმიანობები გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა პრეზიდენტის (88%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (83%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (69%), „რესპუბლიკური პარტიის“ (69%), მთავრობის (69%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (67%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (66%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არცერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

გამოცემაში „ასავალ-დასავალი“ კვლავ სისტემატურად გვხვდებოდა მოვლენების ცალმხრივი გაშუქება, ჟურნალისტთა დაუსაბუთებელი მსჯელობა და უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ამა თუ იმ პოლიტიკოსის გაშუქებისას. აღნიშნული დარღვევები უმეტესად გვხვდებოდა საპარლამენტო ოპოზიციის, ექს-პრეზიდენტის, პრეზიდენტის, „რესპუბლიკური პარტიისა“ და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ გაშუქებისას; მაგალითად: „...კვლავაც „მეცოცხეებად“ რჩებიან...“; „...როგორც მიშტლერი იტყოდა...“; „...სააკაშვილი ქართველი ხალხის მკვლეელი, ჯალათი და მოძალადეა!“ („ოდესაში მივალთ, მარა!“, 5-11 სექტემბერი, გვ. 18). მონიტორინგის მოცემულ პერიოდში იმატა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევებმა „რესპუბლიკური პარტიის“ გაშუქებისას, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი მოიხსენიებს როგორც „ქართველთმომპულე ლიბერასტების პოლიტიკურ კრებულს“, „ანტიეროვნულ სექტას“ და ა.შ. („აი, ვინ დაგვასვა თავზე „ქართულმა ოცნებამ“ „ასავალ-დასავალს“ და მთელ საქართველოს!“, 12-18 სექტემბერი, გვ. 8).

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალში“ კვლავ სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. გაზეთი გამოირჩევა უკიდურესად მძიმე, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით.



„ახალი თაობა“


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, გაზეთში „ახალი თაობა“, შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა როგორც საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, ასევე მმართველი პარტიისა და ექს-პრემიერ ბიძინა

ივანიშვილის მიმართ. „ახალ თაობაში“ რამდენჯერმე შეგვხვდა ჟურნალისტთა ტექსტებში შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევა.

გამოცემაში ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%), ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი (11%) და მათი საქმიანობები გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (55%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (38%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (37%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი ერგო პარტიას „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“ (23%), დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კი, პრემიერ-მინისტრის (29%) გაშუქებისას გამოვლინდა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში აღნიშნულ გამოცემაში რამდენჯერმე შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. მაგალითად, ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გაშუქებისას: მას ჟურნალისტი მოიხსენიებს როგორც „ნაპრემიერალს“ და „მთავარ მეოცნებეს“ („ბიძინა ივანიშვილი: „გუბაზ სანიკიძეს აღიზიანებს, რომ ფული ვერ იშოვა და ამაში მე მადანაშაულებს“, 20 სექტემბერი, გვ.2).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ გამოცემაში შეინიშნება უარყოფითი განწყობა როგორც პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ გაშუქებისას.




„გურია ნიუსი“

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, გამოცემაში „გურია ნიუსი“ საგრძნობლად იმატა დადებითი ტონის მაჩვენებლებმა სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, გაშუქებისას. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები გამოცემაში არ გამოვლენილა, მაგრამ საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა ფასიანი სარეკლამო სტატიები.

„გურია ნიუსმა“ -მა ყველაზე აქტიურად პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (34%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილი (15%), ადგილობრივი თვითმმართველობები (14%) და მათი საქმიანობები გააშუქა. დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (34%) გაშუქებისას, რაც განაპირობა იმან, რომ „გურია ნიუსმა“ ვრცლად გააშუქა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა რეგიონების ჟურნალისტებთან, სადაც ის დადებითად აფასებდა მმართველი პარტიის საქმიანობას. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არცერთი სხვა სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავაკვნათ, რომ მოცემულ პერიოდში, გაზეთში „გურია ნიუსი“, იმატა დადებითი ტონის მაჩვენებლებმა მმართველი პარტიის გაშუქებისას. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.




„ქრონიკა +“

მონიტორინგის მესამე პერიოდში, გამოცემაში „ქრონიკა +“, კვლავ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გაშუქებისას. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას „ქრონიკა +“-ის ჟურნალისტები ღიად გამოხატავდნ უარყოფით განწყობას, რიგ შემთხვევებში შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებით. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, გამოცემაში არაერთხელ შეგვხვდა გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა.

ამ ბეჭდურ გამოცემაში, ყველაზე აქტიურად პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (18%) და მთავრობის (18%) საქმიანობები გაშუქდა. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას გამოვლინდა უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს (59%), ხოლო დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (11%) ერგოთ.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, გაზეთში „ქრონიკა +“ გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება სხვადასხვა სუბიექტების, განსაკუთრებით კი მმართველი გუნდის წარმომადგენლების გაშუქებისას. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მესამე პერიოდის ყველა გამოცემაში სტატიები დაეთმო ერთი კონკრეტული პირის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის იოსებ გოგაშვილის კრიტიკას. აღნიშნული სუბიექტის კრიტიკისას ხშირად გვხვდებოდა შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ჟურნალისტის მხრიდან; მაგალითად, სტატიებში „სოსო, ისევ ჩვენ ვართ!“ (6 სექტემბერი, გვ. 7); „ზემო მაჩხაანელი ბიჭის ცხოვრების კიბე“ (13 სექტემბერი, გვ. 7) და ა.შ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოცემაში „ქრონიკა +“, ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას რიგ შემთხვევებში ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



დასკვნა

მონიტორინგის მესამე პერიოდში შერჩეული გამოცემები ყველაზე აქტიურად კვლავ მმართველი გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციის საქმიანობებს აშუქებდნენ. სხვა პოლიტიკური პარტიების ინტენსიური სახით გაშუქება, არცერთ ბეჭდურ გამოცემაში არ გამოვლენილა. მონიტორინგისთვის შერჩეული 7 მედიასაშუალებიდან, შვიდივეში მეტ-ნაკლებად შეიმჩნევა დადებითი თუ უარყოფითი განწყობა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ. სამ გამოცემაში გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების, საექვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული სტატიების გამოქვეყნებისა და ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობის შემთხვევები.

გამოცემები „ალია“ და „ასავალ-დასავალი“ კვლავ გამოირჩევა უკიდურესად მძიმე შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის სიხშირით პოლიტიკოსებთან მიმართებაში და მათი გაშუქებისას. აღნიშნულ გამოცემებში სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები და ნორმები.

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქართული პრესის ძირითად გამოწვევებს წარმოადგენს: ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ; ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების სიხშირე პოლიტიკოსთა გაშუქებისას; ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და მოვლენების ცალმხრივი გაშუქება.